საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 2 21 0000018744

21/01/2021

ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის „ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლოპროგრამის აკრედიტაციისშესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1.„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლ ის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ “უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3^1 პუნქტისა და „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი

პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2020 წლის 15 ივნისს ა(ა)იპ - საქართველოს აგრარულმა უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა სააკრედიტაციო განაცხადი №467094 ,,ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 1 ივლისს № 547176 ბრძანების საფუძველზე, ა(ა)იპ -საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 27 აგვისტოს №740380 (ცვლილება: №1072396 05.11.2020) ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2020 წლის 19 და 20 ნოემბერს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი უსდ-ში, ხოლო 2020 წლის 16 დეკემბერს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამ ისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
	√			

5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები				

2.3.საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4.ზეპირი მოსმენა გაიმართა 2020 წლის 24 დეკემბერს სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, მეორე სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ 15 ხმით 0 წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ ,,ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ,,ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2020 წლის 21 იანვრის №18701 სხდომის ოქმის № 4 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები.

რეკომენდაციები:

ა) სასწავლო კურსების სილაბუსებში: დარგობივი ინგლისური-ინჟინერია და ციფრული ფილტრების პროექტირება გასწორდეს არსებული ტექნიკური ხარვეზები (შეფასებების კომპონენტებისა და შეფასების რუბრიკაში მოცემული ქულების რაოდენობა არ ემთხვევა ერთმანეთს)
ბ) სასწავლო კურსის სილაბუსში: მონაცემთა ანალიზი, მიეთითოს ძირითადი ლიტერატურა;
გ) სასწავლო კურსის სილაბუსი:კომპიუტერული ქსელები მაგისტრატურის დონეზე სასწავლო კურსს აქვს ბაკალავრიატის პროგრამის იგივე სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული მიზანი, შედეგები, ძირითადი ლიტერატურა მეორდება. მიუხედავად იმიასა, რომ ინტერვიუს დროს განმარტებული იქნა რომ სწავლება მიმდინარეობს უფრო სიღრმისეულად,რეკომენდირებულია,გადაიხედოს აღნიშნული სასწავლო კურსის სილაბუსი ამ თვალსაზრისით.

რჩევები:

ა) სასურველია პროგრამას დაემატოს აკადემიური წერის კურსი ან/და სამაგისტრო კვლევის დიზაინის სასწავლო კურსი;
ბ) სასურველია კონცენტრაციას - ავტომატიზებული მართვის სისტემები, დაემატოს არჩევითი საგანი ნივთების ინტერნეტი ან ინდუსტრიული ნივთების ინტერნეტი, ხოლო კონცენტრაცია - კომპიუტერული ინჟინერია დაემატოს არჩევითი საგანი მობილური აპლიკაციების პროგრამირება;
გ) სასურველია აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის უკეთ კონტროლის მიზნით დაინერგოს ანტი პლაგიატის პროგრამა;
დ) წარჩინებული სტუდენტების წახალისებისა და ხელშეწყობის მიზნით, სტუდენტების აკადემიურ მიღწევების, ასევე კურიკულუმსმიღმა სტუდენტთა აქტივობის გათვალისწინებით (სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, სხვადასხვა სამეცნიერო პროდუქტის შექმნაში მონაწილეობა და სხვ.) სასტიპენდიო პროგრამის დანერგვა.
ე) სასურველია გაძლიერდეს პროგრამა ინტერნაციონალიზაციის კუთხით, ამოქმედდეს საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები და ამ გზით გაუმჯობესდეს სტუდენტთა მობილობის მექანიზმები;
ვ) უნივერსიტეტმა სტუდენტებისათვის გაწეროს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების გაცილებით დეტალური ინსტრუქცია, რათა უზრუნველყოფილი იყოს ნაშრომის გაფორმებისა და ლიტერატურის მითითების (ციტირება, სქოლიო) ერთიანი სტანდარტის დაცვა;
ზ) სასურველია სტუდენტებს ჩაუტარდეთ დამატებითი კონსულტაციები საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების გამოყენებისთვის საჭირო უნარების გამომუშავებისთვის;
თ) სასურველია განისაზღვროს მაგისტრანტთა ის მაქსიმალური რაოდენობა, რომელთა ხელმძღვანელობაც ერთი ლექტორის მიერ ერთდროულად იქნება შესაძლებელი;
ი) სასურველია კურსდამთავრებულები უფრო მეტად იყვნენ ჩართულნი პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების პროცესში (როგორც აკრედიტაციის ვიზიტის დროს ინტერვიუს პროცესში კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს უსდ მათ უკავშირდება იმის დასაზუსტებლად დასაქმებულები არიან თუ არა პროფესიით, თუმცა ისინი არ ყოფილან ჩართული და საკუთარი აზრი არ გამოუხატავთ პროგრამის შინაარსთან დაკავშირებით);
კ) სასურველია პროგრამამ გამოიყენოს განმავითარებელი კოლეგიალური შეფასება (სხვა უსდ-ებში დასაქმებული ქართველი და/ან უცხოელი კოლეგების მიერ) პროგრამის გაუმჯობესების მიზნით;
ლ) სასურველია, თვითშეფასების ანგარიშის მომზადებისას, უფრო მკაფიოდ მოხდეს პრობლემების იდენტიფიცირება და გასაუმჯობესებელი მხარეების გამიჯვნა სტანდა რტებს შორის.
5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2020 წლის 24 დეკემბერს.

6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა